ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7798246

ნომერი: AR11125269

თარიღი : 16.01.2026

გაცემის თარიღი : 10.02.2026

გაცნობის თარიღი : 11.02.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ლეო კვაჭაძის ქუჩა, N 19გ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვერიკო ბაბუციძე პ/ნ 59004005792
- გორი ს. აჩაბეთი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 11 დეკემბრის №7738094 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 16 იანვარს №AR11125269 განცხადებით მომართა ვერიკო ბაბუციძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2025 წლის 11

დეკემბრის №7738094 ბრძანებაში ცვლილების შეტანა საკადასტრო კოდთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 11 დეკემბრის №7738094 ბრძანებით №72.16.21.437 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 11 დეკემბრიდან 2027 წლის 11 ივლისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2025 წლის 11 დეკემბრის №7738094 ბრძანებაში ცვლილების შეტანას. კერძოდ, ვინაიდან, შეიცვალა მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი ითხოვს აღნიშნული საკადასტრო კოდის სამსახურის 2025 წლის 11 დეკემბრის №7738094 ბრძანებაში ასახვას.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის: №882026000536, მომზადების თარიღი: 08/01/2026 წ.) თანახმად, მოხდა №72.16.21.437 (ფართობი: 4865 კვ.მ.) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის ცვლილება ფართობისა და კონფიგურაციის ცვლილების გარეშე და დღევანდელი მდგომარეობით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდს წარმოადგენს: №01.72.16.097.088 (ფართობი: 4865 კვ.მ.).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 11 დეკემბრის №7738094 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 11 დეკემბრის №7738094 ბრძანებაში და საპროექტო ობიექტის საკადასტრო კოდად „№72.16.21.437“ ნაცვლად დაფიქსირდეს „№01.72.16.097.088“.
2.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 11 დეკემბრის №7738094 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3.წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 11 დეკემბრის №7738094 ბრძანებასთან ერთად
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.